



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

კლასიკური ფილოლოგია

ქუთაისი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
კლასიკური ფილოლოგია/Classical Philology

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი (Minor)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ნინო ჩიხლაძე

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

დამატებითი პროგრამა კლასიკურ ფილოლოგიაში ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელიც მისცემს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს მის ძირითად პროგრამასთან ერთად, დასაქმების დამატებით შესაძლებლობას. იგი სტუდენტს შესძენს დარგობრივ კომპეტენციებს, დარგის ზოგადი საფუძვლების ცოდნას, პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტი მიიღებს ზოგად ცოდნას ანტიკური ეპოქის ყველა პერიოდის ლიტერატურული, სოციალური, ისტორიული და კულტურული პროცესების შესახებ შემდეგი მიმართულებით: კლასიკური ენები, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ანტიკური ცივილიზაცია, მითოლოგია, ანტიკური კულტურა, ანტიკურობა და მსოფლიო მწერლობა, ანტიკური სიუჟეტები და თანამედროვე ხელოვნება, ანტიკურობა და საქართველო. ანტიკური კულტურული ფასეულობების შესწავლა მოხდება ერთის მხრივ ქართულ, ხოლო მეორეს მხრივ, ზოგადევროპულ ცივილიზაციასთან მიმართებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.

სწავლის შედეგი:

კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება

კლასიკურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების ფლობა; საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი, სენტენციები.

ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება. ანტიკური ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა, ჟანრები, ავტორები, კვლევის თანამედროვე მდომარეობა. ბერძნული და რომაული ეპოქა, როგორც ფენომენი; საქართველო ძველბერძნულ და რომაულ წყაროებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

კურსდამთავრებულს ექნება - დარგისათვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობა პრაქტიკაში მხატვრულ, ისტორიულ, კულტურულ და ზოგადად, ინტელექტუალურ დონეზე:

პროფესიულ სფეროში ადაპტაციის უნარი: კონკრეტული, ვიწროდარგობრივი ლიტერატურული მონაცემების გააზრება მითოლოგიურ, ისტორიულ და კულტუროლოგიურ კონტექსტში.

ანტიკური ეპოქის ხელოვნებათმცოდნეობითი არქეფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

კლასიკური ფილოლოგიის მეთოდების გამოყენების უნარი ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად - კვლევითი ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობის, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

დასკვნის უნარი:

დამოუკიდებლად, ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

მრავალმხრივი ანალიზის, ფილოლოგიური და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების უნარი - შეუძლია სპეციფიკური პრობლემის შეჯამება ევროპულ ლიტერატურასა და კულტურასთან მიმართებაში.

კომუნიკაციის უნარი:

ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით

მონაწილეობა, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

იდებების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი. პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერიითი კომუნიკაციის კულტურა.

სწავლის უნარი:

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სიტუაციაში ადაპტირების და სამუშაოს დაწყებამდე შესასრულებელი გეგმის შედგენის უნარი, პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარ-ჩვევები.

დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის გაღრმავების უნარი.

ღირებულებები:

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი.

დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი,

მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი დავალებები და სხვ.).

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით

ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გამოუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

(დაწვრილებით იხ.სილაბუსებში; დანართი N 1)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

კლასიკური ფილოლოგიის პროგრამას განხორციელებს აწსუ-ს დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. (იხ.დანართი N 2 CV).

პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, კერძოდ:

-საღებავი -სასემინარო ოთახები (აწსუ მესამე კორპუსი N3309,3308 აუდიტორიები); 2 კომპიუტერი; 2 პერსონალური კომპიუტერი; 1 ოვერჰედ პროექტორი; 1 ასლის გადამღები აპარატი; 1 სკანერი; 1 მაგნიტოფონი; 1 ვიდეომაგნიტოფონი; 1 ფაქსის აპარატი; 1 პროექტორი (Bemer); 1 სატელიტური მიმღები; 1 DVD; 1 პრინტერი; 1 ტელევიზორი; მუსიკალური ცენტრი; კასეტების ვიდეოთეკა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრი; უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ./ჯგ.მუშ./დამ. მუშ./შუალ. და ფინ. გამოც.	კრედიტი -ტოპრაოდენობა	სემესტრები								
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	ძვ. ბერძნული ენა 1	3	0.45.77.3	5			5						
2	ძვ. ბერძნული ენა 2	3	0.45.77.3	5				5					
3	ლათინური ენა1	3	0.45.77.3	5					5				
4	ლათინური ენა2	3	0.45.77.3	5						5			
5	italiuri ena	3	0.45.77.3	5									5
6	ბერძნ .ლიტ.ისტორია	3	30.15.77.3	5			5						
7	რომ.ლიტ.ისტორია	3	30.15.77.3	5				5					
8	ანტიკური მითოლოგია	3	30.15.77.3	5					5				
9	ანტიკური ცივილიზაცია	3	30.15.77.3	5						5			
10	ანტიკურობა და მსოფლიო მწერლობა	3	30.15.77.3	5							5		
11	ანტიკური სიუჟეტები თანამედროვე სახვით ხელოვნებას, თეატრსა და კინოში	3	30.15.77.3	5									5
12	ანტიკური სამყარო და საქართველო	3	30.15.77.3	5							5		
სულ				60			10	10	10	10	10	10	10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ./დამ.მუშ./შუალ. და ფინ. გამოც. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა/შუალედური და ფინალური გამოცდები
5 კრედიტი - 125 საათი